ასლი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №49

12 თებერვალი 2014წ.

2014 წლის საგაზაფხულო გაწვევის მიზნით გამწვევი

კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე, 24-ე მუხლებისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 07 თებერვლის „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2014 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ N136 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2014 წლის საგაზაფხულო გაწვევის მიზნით გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ანტონ ხუნდაძე -ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ვახტანგ მეფარიშვილი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) დავით ჯინჭარაძე - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;

დ) თეიმურაზ კოროშინაძე - შ.პ.ს „რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი“ ჩოხატაურის დირექტორი - კომისიის წევრი;

ე) შორენა სიხარულიძე -ჩოხატაურის საგანმანათლებლო რესურცენტრის უფროსი- კომისიის წევრი;

ვ) ზაზა დოლიძე -შ.ს.ს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე -კომისის წევრი;

ზ) მარინე დეკანოზიშვილი -მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის, წვევამდელთა აღრიცხვის და გაწვევის განყოფილების სპეციალისტი წვევამდელთა აღრიცხვის და გაწვევის საკითხებში - კომისიის მდივანი.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე - ჭავჭავაძის ქ. № 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*